

სამხარეო ადმინისტრაციებმა ტურიზმის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

17 აპრილი 2019

ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მიზნით შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა შალვა კერესელიძემ და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, რეგიონები ერთობლივად იმუშავენ ტურიზმის ხელშეწყობისა და ტურისტული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის სფეროში არსებული სიახლეების გაზიარებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რეგიონში არსებული ისტორიულ-კულტურული და ტურისტულად მნიშვნელოვანი ობიექტების პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კიდევ უფრო მეტი ტურისტის მოზიდვას.

გიორგი ხოჯევანიშვილის თქმით, რეგიონების თანამშრომლობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რათა მაქსიმალურად იყოს ათვისებული თითოეული მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი. რეგიონების ურთიერთთანამშრომლობა და ერთმანეთის ხელშეწყობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს აღნიშნული სფეროს განვითარებას.